ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გაერთიანებული სხდომის ოქმი №2

20 ნოემბერი, 2017 წელი
16:00 საათი

(ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ოთახი 329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ქეთევან ჯოხაძე;
2. თამარ ტალიაშვილი;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. გიორგი მუსხელიშვილი;
5. წიწო ლაცაბიძე;
6. გიორგი დოსტურაშვილი;
7. ოთარ გრიგოლია;
8. ლილე ლიპარტელიანი;
9. ფრიდონ ინჯია;
10. დავით ჟღენტი.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია და კომისიის წევრები

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

1. ყელა ჩიტიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე;

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(10.11.2017წ.;#12-031731434-03)

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა კომისიის წევრების და მოწვეული სტუმრების წარმოუდგინა ქიორლომი და გააცნო დღისწესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა ძიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ბირბიჩაძემ - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებს წარმოუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს.

გაიოზ თალაკვაძემ - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ზოგადი ინფორმაცია წარმოადგინა: აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 815 210.1 ათას ლარით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით
გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება :
საგრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენა 125 141.9 ათასი ლარი;
ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და აკარიფული შენობების გამაგრება 153 819.8 ათასი ლარი;
– ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 85 089.3 ათასი ლარი;
– ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 7 655.0 ათასი ლარი;
– ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 29 826.6 ათასი ლარი;
– ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 191 112.9 ათასი ლარი;
– განათლება 117 150.2 ათასი ლარი;
კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 27 131.6 ათასი ლარი;
– საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 3 158.3 ათასი ლარი.
– ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 75 124.5 ათასი ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 763 710.1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

✓ გადასახადები 250 000,0 ათასი ლარი

- საშემოსავლო გადასახადი 90 000,0 ათასი ლარი (მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პიროა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული სამეტიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების ოჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან 2017 წელთან შედარებით შემცირებულია 10 000,0 ათასი ლარით;
- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 129 000,0 ათასი ლარი;
  ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი;
  მიწაზე ქონების გადასახადი 15 000,0 ათასი ლარი.

✓ გრანტები 343 030.4 ათასი ლარი

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 62.4 ათასი ლარი;
- გათანაბრებითი ტრანსფერი 342 508.0 ათასი ლარი, (2017 წელთან შედარებით გაზრდილია 10 325.8 ათასი ლარით);
  მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი.

✓ სხვა შემოსავლები 170 679,7 ათასი ლარი, მათ შორის:
  შემოსავალი საკუთრებიდან – 15 071,2 ათასი ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 64 000,0 ათასი ლარი;
  მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 45 000,0 ათასი ლარი;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) 26 500,0 ათასი ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები 20 108,5 ათასი ლარი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 587 348,4 ათას ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 82 766.0 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 153 514.5 ათასი ლარი, პროცენტი 1 731,0 ათასი ლარი, სუბსიდიები 84 168,7 ათასი ლარი, გრანტები 32,1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 156 457,4 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 108 678,6 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 87 195.9 ათას ლარს, მათ შორის:

– არაფინანსური აქტივების ზრდა – 137 195.9 ათასი ლარი.
– არაფინანსური აქტივების კლება – 50 000,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება

ფინანსური აქტივების ცვლილება 83 004,1 ათასი ლარი;
– ფინანსური აქტივების ზრდა – 84 504,1 ათასი ლარი;
– ფინანსური აქტივების კლება – 1 500,0 ათასი ლარი
ვალდებულებების ცვლილება:
2018 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (6 161,6) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო:
2017 წლისათვის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 89 165,7 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქ. თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. (როდესაც ბიუჯეტის შემოსავლები აღემატება მის ხარჯების)
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები:
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 815 210,1 ათას ლარს.
2018 წლის ბიუჯეტით დედაქალაქის პრიორიტეტებს შორის კვლავ რჩება:

❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა რომელიც განისაზღვრა 191 112,9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 44 364,0 ათასი ლარი. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 146 748,9 ათასი ლარი.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ლილე ლიპარტელიანი - დაინტერესდა 2018 წლის ბიუჯეტით გაგრძელდება თუ არა ქვეპროგრამა „კომუნალური სუბსიდირების პროგრამა“, ცვლილება იგეგმება თუ არა და რატომ არის შემცირებული დაფინანსების თანხა.

გელა ჩიტაიშვილი - „კომუნალური სუბსიდირების ქვეპროგრამა“ არის ეაუჩერული ქვეპროგრამა. კომუნალური ვაუჩერი 2018 წლის ბიუჯეტით, გაიცემა ქ თბილისში რეგისტრირებულ ოჯახებზე სულადობის მიხედვით 16-დან 20 ლარამდე ოდენობით. 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 10 175 500 ლარს. კომუნალური ხარჯი არის ფაქტიურ ხარჯი. 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზეა გათვლილი. 2018 წელს ზუსტად იმ სახით განხორციელდება, როგორც წელს ხორციელდება. დაანგარიშებულია რაოდენობაზე. შარშანდელთან შედარებით შემცირდა 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველების რაოდენობა, რაც განაპირობებს ბიუჯეტის შემცირებისა.

ნინო ლაცაბიძე - დაინტერესდა „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა“ 2018 წლის ბიუჯეტით გაუმჯობესებული იქნება თუ არა საათების ან ბენეფიციართა ზრდით.

გელა ჩიტაიშვილი - პროგრამა განახლდება აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მშობლებთან და პროფესიონალებთან ერთად. შემუშავდება და განხორციელდება ახალი კონცეფცია. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციაზე წარმოდგენილია 2 800 000 ლარით;

გიორგი ბირბიჩაძე - ,,c'' ჰეპატიტის დიაგნოსტიკა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით შეადგენს 1 000 000 ლარს, რაც 2017 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია. დაინტერესდა მიზეზით.

გელა ჩივიაშვილი - 2017 წლის ბიუჯეტით წარმოდგენილი იყო წინა წლის დაჩენილი ვალდებულებები. 2017 წელს აღნიშნული ქვეპროგრამა ხორციელდება მხოლოდ სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებზე, 2018 წელს კვლავ გრძელდება ქვეპროგრამა მიწყვლადი ჯუფებისთვის.

თამარ ტალიაშვილი ამჟამად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც დაკორექტირდება.

ფრიდონ ინჯია დაინტერესდა მრავალშვილიან ოჯახების დახმარებასთან დაკავშირებით.

გელა ჩივიაშვილი 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით კვლავ გრძელდება ორი ქვეპროგრამა
1. „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის ითითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება" 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 8 000 000 ლარს.
2. „სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მე 3, მე 4, მე 5 და მეტი შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების ახალშობილთა პროგრამა" 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 400 000 ლარს;

ფრიდონ ინჯია - აღნიშნა, რომ ზემოთ წარმოგდენილი ქვეპროგრამების ბიუჯეტი არ არის საკმარისი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის საჭიროა თანხის გაზრდა ერთჯერადი დახმარებისთვის (10 000-დან 15 000-ის ოდენობით) დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის დახმარების გაზრდა იქნება სტიმული მრავალშვილიანობისთვის. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს 704 ოჯახს შეეძინა მეხუთე შვილი.

ნინო ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტი რამდენიმე თვეში მიიღებს სტატუსს მრავალშვილიანობასთან დაკავშირებით და შემდეგ გადავხედოთ საკითხს თავიდან.

გიორგი ბირბიჩაძე ინიციატივა კარგია, მაგრამ საჭიროა რესურსი, გათვლა, სტატისტიკა და ა.შ. დაველოდოთ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას. ამჟამად ვიმოქმედოთ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიცემულობით შემდეგომ შესაძლებელია გაფართოებული წესვცლების მიწყება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად.

ლადო მნელაძე - მოიწონა ინიციატივა,

ლილე ლიპარტელიანი - დაინტერესდა კურორტულ გამაჯანსაღებელი ბანაკებთან დაკავშირებით. რა სტანია განსასღვრული დასვენებისთვის გაგრძელდება თუ არა პროგრამა არასოციალურად დაუცველებზეც და შემუშავდება თუ არა კრიტერიუმები პროგრამაში მოსახვედრად არასოციალურად დაუცველებზე. წამოაყენა ინიციატივა, გაგრძელდეს ქვეპროგრამის მხოლოდ სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებზე.

გელა ჩივიაშვილი - „შშმ მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისთვის საზაფხულო კურორტულ გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა“ 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 60 000 000 ლარს, განსაზღვრულია ზაფხულის სეზონზე. ქვეპროგრამა ვაუჩერულია და ბენეფიციარები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან იღებენ 400 ლარის ვაუჩერს, სიებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგეობები. რეისტრაცია იწყება თებერვლის თვიდან. გამგეობების მიერ გაფილტრული სიებია წარმოდგენილი. არსებობს შეჭირვებული ფენა, რომლებიც სოციალურად დაუცველები არ არიან. ეს ფენა ხვდება სიაში რომელსაც არასოციალურად დაუცველია სია წარმოადგენს.

გიორგი ბერბიჩაძე - დაინტერესდა ქვეპროგრამით „უფასო სასადილოები რაიონებში“ 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 16 861 900 ლარს, იგეგმება თუ არა ქვეპროგრამის გაუმჯობესება.

გელა ჩივიაშვილი - იგეგმება რაციონის გაუმჯობესება უფასო სასადილოებში.

გიორგი ბერბიჩაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი (საკრებულოს - #01-01173142883.10.11.2017წ.) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი არ ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომელსაც საზოგადოებამ დაუჭირა მხარი. ეს ეხება, რომ წარმოდგენილი საბიუჯეტო პროექტის პრიორიტეტები არ არის ოანხვედრაში თბილისის მოსავრობის ახალ პრიორიტეტებთან და ვერ ასახავს ქალაქის ამჟამინდელ საჭიროებებს.
კერძოდ, უნდა დაემატოს:

1. (ქვეპროგრამის კოდი: 06 01 13) „ბავლის ტვინის ტრახსპლანტაცია“-ს ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტი;
2. (ქვეპროგრამის კოსი: 06 01 02) „დაავადებათა სკრინინგის“ ქვეპროგრამას ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგის კომპონენტი;

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას მიაჩნია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს -#01-01173142883.10.11.2017წ.) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს დედაქალაქის მერიას, რათა პრიორიტეტების გათვალისწინებით წარმოადგინონ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ცვლილების ახალი პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბერბიჩაძე